საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 22 ივნისის
დადგენილება № 697

2012/2013 სასწავლო წელს სტუ-ს

დოქტორანტურაში მიღების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2012/2013 სასწავლო წლისათვის გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე.
დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა საბუთების მიღების ვადაა 2012 წლის 10 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე;
2. დამტკიცდეს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები.
3. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე;
4. ჩარიცხვა დასრულდეს 2012/2013 სასწავლო წლის დაწყებამდე.
5. მოხდეს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება. შეეცვალოს დასახელება და ნაცვლად „დარგობრივი ეკონომიკა და მენეჯმენტი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით „დარგობრივი მენეჯმენტი“.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ.სალუქვაძე